# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 40 კაპ.

## საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 15 | კვირა, 11 აგვისტო 1918 წ. | № 15



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


## ფინანსთა სამინისტროს კანცელარია

წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებათ (სააქციონერო ბანკები, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის, «ბანკირების» კონტორები, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები, ქალაქის საზოგადო ბანკები, საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები, ლომბარდები და სხვ), რომელნიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში თავიანთი წესდებები და მისამართი, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქმნას ყოველ თვიურად ბალანსი, დაწყებული ამა წლის 1 ივნისიდან.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი დ. ა ფ ხ ა ზ ი.

29 ივლისი, 1917 წ. № 950|234.


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.
## ქართულ რკინის გზის
### მ თ ა ვ ა რ ს ა მ ა ს ა ლ ო ს ა წ ყ ო ბ შ ი

ამა წლის 20 მარიამობისთვეს (ახალი სტილით), დილით, 10 საათ დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა 1.800 ცალი ცემენტის ბოჭკებისა. მისამართი: ქ. თბილისი, ქართული რკინის გზის სამასალო ნაწილი, კუთხე ელისაბედისა და სადგურისა, 9—3 საათ., ყოველ დღე გარდა უქმეებისა. 3-1


## ოფიციალური განყოფილება

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

9 აგვისტო 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 222.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა: ამა წლის 1 მაისიდან, როგორც თანამდებობიდან ისე საზოგადოდ სამსახურიდან, ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრონომი კ. პ. დანილევსკი, მიზეზების წარმოუდგენელად 4 თვეზე მეტი სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

9 აგვისტო 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 223.

ი გ ზ ა ვ ნ ე ბ ა: ექიმი ვლადიმირ მიხეილის ძე მახვილაძე ბაკურიანში, ბორჯომში და ახლო-მახლო ადგილებში, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო-სასანიტარო განყოფილების რწმუნებული, ადგილებზე ეპიდემიასთან საბრძოლველ ზომათა მისაღებათ და ეპიდემიური რაზმების მუშაობის და სასურსათო ხასიათის საკითხების მოსაწესრიგებლად.

ხელს აწერს: შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერ მინისტრის ამხანაგი კ. ს ა ბ ა ხ ტ ა რ ი შ ვ ი ლ ი.

დედანთან სწორეა განყოფილების უფროსი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მთავრობის მინისტრისა.

6 აგვისტო 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 23.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა ნ: 1. განათლების სამინისტროს კანცელარიის დირექტორის თანამდებობის ალმასრულებელი, ქუთაისის კომერციული სასწავლებლის დირექტორი მ. ი. თაქთაქიშვილი სატეხნიკო და პროფესიონალურ სკოლების მთავარგამგის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად, 1918 წლის 1 ივლისიდან, კომერციულ სასწავლებლის დირექტორად დატოვებით.

2. ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი ვ. მ. ბერიძე განათლების სამინისტროს კანცელარიის დირექტორად, 1918 წლის 1 ივლისიდან.

3. თბილისის საეპარქიო გიმნაზიის დირექტორი დ. ნ. უზნაძე უმაღლეს და საშუალო სკოლების მთავარ-გამგის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად 1918 წლის 1 აგვისტოდან, თავის თანამდებობაზე დატოვებით.

4. ქუთაისის გუბ. სახალხო სკოლების ინსპექტორი გ. ალ. ჰუმბურიძე დაბალ სკოლების მთავარ-გამგის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად 1918 წლის 1 აგვისტო-

5. ა. მ. ჰუმბაძე მინისტრის პირად მდივნად 1918 წლის 1 ივლისიდან.

6. კ. ი. აბაშიძე უმაღლეს და საშუალო სკოლების განყოფილების საქმის მართველად 1918 წლის 1 ივლისიდან.

7. ლ. გ. ხარაძე საქმის მწარმოებლის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად 1918 წლის 1 ივლისიდან.

8. ლ. ან. ჩიმაკაძე საქმის მწარმოებლის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად 1918 წლის 3 ივლისიდან.

9. ს. ი. აზარპეტოვი ბუღალტრის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად 1918 წ. 1 ივლისიდან.

10. ნ. გ. ჩიმაკაძე ბუღალტრის თანაშემწის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად 1918 წლის 11 ივლისიდან.

11. ნ. მ. წუწუნავა საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად 1918 წლის 4 ივლისიდან.

12, თ. ალ. ფალავანდიშვილის ასული საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად 1918 წლის 1 ივლისიდან.

13. გ. ბ. მიქაბერიძე საქმის მწარმოებლის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად 1918 წლის 1 ივლისიდან.

14. ა. ჯ. ბერეჟიანის ასული რეგისტრატორად 1918 წლის 1 ივლისიდან.

15. ნ. ა. დიასამიძის ასული გადამწერად 1918 წლის 16 ივლისიდან.

16. ე. ნ. ბეჟანიშვილის ასული გადამწერად 1918 წლის 22 ივლისიდან.

17. ა. ი. სურმავას ასული გადამწერად 1918 წლის 1 ივლისიდან.

18. მ. ი. მაჭავარიანის ასული გადამწერად 1918 წლის 10 ივლისიდან.

19. მ. ი. გერმანიშვილისა გადამწერად 1918 წლის 9 ივლისიდან.

20. ე. გ. ტუსიშვილის ასული გადამწერად 1918 წლის 1 ივლისიდან.

21. ნ. ნ. ჩიგოგიძის ასული გადამწერად 1918 წლის 17 ივლისიდან.

22. ე. ვ. ფავლენიშვილის ასული გადამწერად 1918 წლის 9 ივლისიდან.

23. ე. ლ. ჩიმაკაძის ასული გადამწერად 1918 წლის 24 ივლისიდან.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა ს ა მ ს ა ხ უ რ ი დ ა ნ: კანცელარიის გამგის თანაშემწე მ. ვ. კონდრატიევი 1918 წლის 1 აგვისტოდან.

6 აგრისტო 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 24.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ქ ნ ა ნ: ზუგდიდის გიმნაზიის დირექტორის თანამდებობის ალმასრულებელი მელქისედექ ისიდორეს ძე კობახიძე ამავე თანამდებობაზე, 1918 წლის 1 სექტემბრიდან; იმავე გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობის ალმასრულებელი მღვდელი ტროფიმე ჯორთაბერიძე ამავე თანამდებობაზე 1918 წ. 1 აგვისტოდან.

ნამდვილზე ხელს აწერს სახალხო განათლების მინისტრი გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი.

დედანთან სწორეა საქმის მმართნელი კ. ა ბ ა შ ი ძ ე.

### შ ე ს წ ო რ ე ბ ა.

გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის მე-11-ე ნომერში (ამა წლის აგვისტოს 6, სამშაბათი), დაბეჭდილია:

1. კ ა ნ ო ნ ი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციისა.

ტექსტის I მუხლში დაბეჭდილია „ზაგათლის“,—უ ნ დ ა ი ყ ო ს **„ზაქათლის“**.

ამავ კანონთან დართულ ნ უ ს ხ ა შ ი „ზ ა ქ ა თ ლ ი ს ო ლ ქ ი ს“ გასწვრივ მე-3-მე უჯრიდში (კომისიის წლიური ჯამაგირი) დაბეჭ-

2. კ ა ნ ო ნ ი სასოფლო მილიციის და ადმინისტრაციისა:

სათაურში დაბეჭდილია „სახალხო“,—უ ნ დ ა ი ყ ო ს“ **„სასოფლო“**.

ტექსტის I-ლ სტრიქონში: დაბეჭდილია „ყოფილ“ უ ნ დ ა ი ყ ო ს: **„ყოველ“**.

გაზეთის მე-12-ტე ნომერში (ამა აგვისტოს 8,—ხუთშაბათი) შ ტ ა ტ ი მილიციისა I-ლი ხარისხის ქალაქებისათვის—მე-2-რე ჯამის უკანასკნელ უჯრედში [(უმცროსი მილიციონერი) დაბეჭდილია: 62304. უნდა ი ყ ო ს **623040.**

შ ტ ა ტ ი მე-2-რე ხარისხის ქალაქებისათვის „ჯამაგირების რაოდენობა წლიურად“—მეორე უჯრედში (მისი თანაშემწე) დაბეჭდილია: 3000,—უ ნ დ ა ი ყ ო ს **3600.**

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 11 აგვისტო.

სახელმწიფო არის ტერიტორიალური კავშირი, რომელიც აღჭურვილია უმაღლესი, სუვერენული ძალა-უფლებით. თავისთავად იგულისხმება ამ „უზენაესი ძალა-უფლებით აღჭურვილ უფლებრივი კავშირის ბატონობა ანუ, უკეთ, ბრძანებლობა როგორც ტერიტორიაზე-ისე მაზე მოსახლე მცხოვრებთა მიმართ.

სახელმწიფო უსახოა, იგი სრულებით არ არსებობს, თუ არა აქვს საკუთარი ტერიტორია და უმაღლესი ბრძანებლობის ორგანოები, თუ არა ჰყავს საკუთარი მოსახლეობა. ამასთან არის დაკავშირებული მოქალაქეობა ანუ ქვეშევრდომობა, რომელიც ერთ ერთი მათავარი და ორგანიული საფუძველია სახელმწიფოს არსებობისა.

საქართველო უკანასკნელ ასოცი წლის განმავლობაში აღარ წარმოადგენდა სახელმწიფოს. მაშინ რუსეთმა გააუქმა მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა. და როცა ახლა ახალ პირობებში თავის თავი სახელმწიფოდ გამოაცხადა, ცხადია მას უნდა შეემუშავებინა საკუთარი მოსახლეობის საერთო გამსაზღვრელი პრინციპი, ძირითადი სტატუტი მოქალაქეობისა.

პირველი ნაბიჯი ამ მხრით ეროვნულმა საბჭომ უკვე გადადგა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეობის დებულების მიღებით.

რას ამბობს ეს დებულება?

„ ყოველი მკვიდრი, მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკისა, არის საქართველოს მოქალაქე“.

ეს არის დებულების პირველი და მთავარი მუხლი. ხოლო ვინაიდან აქ აღნიშნული არ არის თუ ვინ იგულისხმება მკვიდრათ, მუხლს დართული აქვს შენიშვა, რომელიც ამას განსაზღვრავს: „მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრატიულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-დე (ძველი სტილით).“

ამ ნაირათ მოქალაქეობის საფუძველია მცხოვრებთა მკვიდრობა. ხოლო უკანასკნელი დაკავშირებულია რესპუბლიკის ტერიტორიასთან, რომელიმე ადმინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის მტრებმა და უარ მყოფლებმა ბევრი იწრიპინეს ამ ძირითადი პრინციპის გასაბათილებლათ. ისინი დღესაც არ აკლებენ ხელს და ყოველ მხრივ ცდილობენ ჩვენი მოქალაქეობის დებულება შემუსრონ სხვა და სხვა მიკიბულ-მოკიბულ-საბუთებით, მაგრამ ამ მხრითაც ვერ აღწევენ მიზანს და ტყუილა-უბრალოთ თავს იბახებენ.

მართლაც, საქართველოს სახელმწიფოებრივობის შექმნა დღევანდელ განსაკუთრებულ პირობებში შეუძლებელია უფრო მარტივი უფრო სწორი, უფრო საყოველთაო, დამახასიათებელი და თან პრაქტიკული პრინციპის გამონახვა ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეობის ნიადაგის შესაქმნელათ.

უნდა ითქვას, რომ ტერიტორიალურ-ადმინისტრატიულ ერთეულზე მ ი წ ე რ ა, რომელიც გულისხმობს მკვიდრ მოსახლეს, არ ნიშნავს ამა თუ იმ საპოლიციო თუ სამილიციო ნაწილში გ ა წ ე რ ა ს, რომელიც მაჩვენებელია მხოლოდ დროებითი ბინადრობის. ეს განსაკუთრებით დაცული იყო ომამდე, სანამ მშვიდობიანი ცხოვრება არ დაირღვა და საზოგადოებრივი ურთიერთობა არ აიშალა.

იბადება კითხვა-შეუძლიათ თუ არა საქართველოს მკვიდრ მცხოვრებთ, ვინც უნდა იყვნენ ისინი, უარი განაცხადონ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობაზე, სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებად აღიარონ თავის თავი და დარჩნენ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე როგორც უცხოელები.

ეს ყოვლად შეუძლებელია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. საქართველოს უზენაესი ძალა-უფლება თუ ვრცელდება მის სახელმწიფოებრივ ტერიტორიაზე, ცხადზე უცხადესია coipso იგივე ძალა უფლება ვრცელდება ამ ტერიტორიაზე მოსახლე მკვიდრ მცხოვრებლეპზედაც.

სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი უნდა იცნოს მთელმა მკვიდრმა მოსახლეობამ, რომელიც თანასწორათ სარგებლობს ყველა უფლებით და სახელმწიფოებრივი მფარველობით და ამავე დროს თანასწორადვე ლებულობს თავის-თავზე ყველა სახელმწიფოებრივ ვალდებულების ასრულებას.

უამისოთ წარმოუდგენელია, რომ შეიქმნას სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, შეუძლებელია, წარმოიშვას სახელმწიფოებრივი აგებულება. სახელმწიფო ნებაყოფლობითი თავისუფალი კავშირი როდია, რომ თავისუფლათ და თვისებურათ შეიძლებოდეს შესვლა-გამოსვლა.

ეს კარგათ უნდა იცოდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე მკვიდრმა ხალხმა, რომელიც საერთოთ მოწოდებულია სახელმწიფოებრივ შემოქმედებისათვის.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ამ ძირითად საკითხში არ იცის გარჩევა სარწმუნოების, ეროვნების თუ სოციალური მდგომარეობის. ყველა მკვიდრი მოქალაქეა ჩვენი რესპუბლიკის. ვალდებულია, ყველა მკვიდრი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ბრძანებლობას დაემორჩილოს ან გასწყვიტოს ყოველგარი კავშირი ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოებრივობასთან.

ასეთი არის, ასეთი უნდა იყოს საერთო წესი სახელმწიფოებრივი სუვერენული ძალა-უფლების გამტკიცების და შემოქმედებისა.

# ეროვნული საბჭო

**მკათათვის 30-ს სხდომა მე-25-თე.**

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. რომ ამ რაზმის მდგომარეობა დღესაც არ არის კარგი მდგომარეობა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ამას სწერს თვით ერთი რაზმელთაგანი, არა ჩვეულებრივი რაზმისა, არამედ იმ საგანგებო რაზმის, რომელიც საგანგებოდ უნდა ემსახურებოდეს თავის დანიშნულებას. აი რა მდგომარეობას ჰქმნის ის წესი, როდესაც ჩვენ ვქმნით იმისთანა საგანგებო რაზმებს, რომლებიც ასეთ საგანგებო საქმეებით უპასუხებენ თავიანთ დანიშნულებას. ჩვენ აქ მომხსენებელმა გვითხრა, რომ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში მფრინავი რაზმის შტატი უნდა გადიდებულ იქმნეს 600—1000 კაცამდე თითო გუბერნიაში და სოხუმის ოლქში 300 დან—400 კაცამდეო. ახლა ჯამაგირი იანგარიშეთ ამ კაცებისათვის. მომხსენებელმა აქვე მოითხოვა მათი ჯამაგირებიც. ამ რაზმის გადიდებას ასაბუთებენ იმ მოსაზრებით, რომ არ გვყავს მოწყობილი ჯარი, არ არის მოწყობილი მილიცია.

ბატონებო, თუ არ არის მოწყობილი ჯარი და მილიცია, ჩვენი კონტრ-რევოლიუციონური ოპოზიცია სულ იმას გაიძახდა, რომ უნდა მოეწყოს ჯარი, უნდა მოეწყოსო, მაგრამ თქვენ ყურადღებს არ აქცევდით.

ბატონებო, თუ არ არის საკმაო ჯარი— უნდა გაადიდოთ რიცხვი, მაგრამ თქვენ სულ ამას იძახით—ჯარისთვის კი თქვენ არაფერს აკეთებთ. თქვენ სისტემატიურად, რაც რომ თავისუფლება გამოცხადდა, იძახით, რომ ჯარი გვინდა ჯარი, მაგრამ საქმით კი არაფერს აკეთებთ ჯარის შესაქმნელად. თუ თქვენ მზადა ხართ დააკანონოთ ჯარი, მაშინ მილიცია რაღა საჭიროა. თუ თქვენ დღეს დააკანონებთ სწორედ მას, რაც ემ წუთას არის საჭირო, ხვალ თუ დაგჭირდათ 9 საგანგებო რაზმი, 9 საგანგებო რაზმის კანონპროექტს შემოიტანთ ეროვნულ საბჭოში.

ეს არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება ასე.

მთელს ქვეყანაზე ცნობილია, რომ რეგულიარლური ჯარი გაცილებით უფრო იაფი ჯდება ვიდრე ეს რაფუასიანი საგანგებო რაზმები. ამასთან ჩვენი საზღვრები ისეთი ბუნებრივი საზღვრებია, რომ ჩვენს ქვეყანას არ დასჭირდება დიდძალი ჯარი, საუბედუროდ ჩვენი მთავრობა, ჩვენი ხელმძღვანელი პარტია ჯერ კიდევ ვერ დაადგა ჯარის შედგენის გზას. იგი ჯერ კიდევ, მხოლოდ საგანგებო რაზმების ჲედგენას უნდება. თუმცა ამ საგანგებო რაზმებზე გაცილებით უფრო მეტი იხარჯება. დარიალის ხეობის რაზმი მეტი ჯდება, ვიდრე ნვენთვის საჭირო რეგულიარული ჯარის შენახვა დაჯდება. რომ ეს ასეა და, რომ მთავრობასთან ხელმძღვანელ პარტიას უნდა საბოლოოდ ჯარის შექმნა ეს იქიდანაც სჩანს, რომ ყველა ამ რაზმს აძლევენ დროებით ხასიათს: ეს 6 თვით, ეს 3 თვით და ეს კი 1 თვით. ბოლოს გამოდის, რომ ეს რაზმები მართლა დროებით კი არ არსდება, არამედ როგორც რუსეთში იცოდნენ გამოსცემენ რამე საგანგებო კანონს 3 თვით თუ 1 თვით. შემდეგ ნიკოლოზი გამოაცხადებდა, რომ ამა და ამ მიზეზების გამო ეს კანონი კიდევ გაგრძელდებაო. ასევე იქცევა ჩვენი მთავრობაც, ისე როგორც ბევრი არა სათანადოდ აგებული, არაა ისეთი მთავრობა, რომელიც ემყარება და საბოლოოდ დაემყარება ქვეყნის ძალებს. იგი იცდის იმ დღემდის, სანამ რაღაც სასწაული მოხდებოდეს და მუდმივი ჯარი შეიქმნებოდეს.

ჩვენი ფრაქციის სახელით წინააღმდეგი ვარ ამ კანონპროექტისა. საგანგებო რაზმებს არა შეუქმნია რა საგანგებო. როგორ გგონიათ, ბატონებო, მფრინავი რაზმი, რომ ჰქვიან იგი მართლა გაფრინდება? ამ საგანგებო რაზმის, ამ ფრინავ რაზმის გადიდება ვერ მოსპობს შინაურ არეულობას. ვერ მოსპობს, ვერ ჩააქრობს ანარქიას. მფრინავ რაზმის გადიდება გამოიწვევს მხოლოდ დიდ ხარჯებს და ამასთან არ იქმნება მიზან შეწონილი. და მე მეშინია ამ მფრინავ რაზმის დაარსებაში ჩვენ საქართველოს თავისუფლებაც არ გაგვიფრინდეს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ნებავს სიტყვა საერთოდ ამ კანონპროექტის შესახებ? თუ სიტყვა არავის ნებავს მომხსენებელს მივცემ სიტყვას.

ა ლ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე (ს. დ.) საუბედუროდ რევაზ გაბაშვილმა არ გვითხრა როგორ მოვიქცეთ. მან კარგად იცის და თუ არ იცის უნდა იცოდეს, რომ სახალხო გვარდია მილიცია არ არის, რომ მას საპოლიციო ფუნქციების ასრულებას ვერ დავაკისრებთ. სად არის აქ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის გზაზე დგომა, როდესაც თქვენ წინააღმდეგნი ხართ მფრინავ რაზმის გადიდებისა? ანარქია არსებობს. როგორ გნებავთ, რით გნებავთ ჩააქროთ ანარქია, რით უნდა ებრძოლოთ მას?

გ. ვ ე შ ა პ ე ლ ი. ჯარით.

ა ლ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. დღეს კი ჯარი არ არის? (ხმა მარჯვნიდან: რას აკეთებდით?) რას ვაკეთებდით? ბატონებო არ ვარგა ჭეშმარიტების მიფუჩეჩება. არც ერთ საბჭოს წევრს არა აქვს არც ფორმალური და არც ზნეობრივი უფლება გამოვიდეს და ამ ტრიბუნიდან განაცხადოს, რომ ჩვენი მთავრობა არაფერს აკეთებსო. თუ ბატონ რევაზ გაბაშვილს ჰგონია, რომ ჯარის მოსაწყობად საკმაოა იგი გამოვიდეს ამ ტრიბუნიდან და სთქვას: „ვბრძანებ ჯარი მოეწყოს“-ო და ჯარი მოეწყობა— სცდება ბატონი გაბაშვილი.

ლაპარაკით რომ კეთდებოდეს რამე, იქნებ რევაზ გაბაშვილისათვისაც კარგი ყოფილიყო. მაგრამ დროა ბატონებო უკვე, რომ სახელმწიფოს აღმშენებლობის გზას დავადგეთ, რაზედაც ასე ხშირად ლაპარაკობენ ნაციონალ-დემოკრატები და საქმით სწორედ ამის წინააღმდეგ მიდიან. ამ ტრიბუნიდან ლაპარაკით ჯარის შექმნა ჩქარის ტემპით არ მიდის, ლაპარაკით ჯარი არ შეიქმნება, მაშასადამე აქ ეხლა რეგულიარულ ჯარზე ლაპარაკი ჯერ სულ ზედმეტია.

რაც შეეხება გაბაშვილის მიერ გაზეთიდან მიწვდილ ცნობებს თბილისის მფრინავ რაზმის შესახებ—ეს ჩემ მოვალეობაში არ შედის, რომ მის შესახებ პასუხი გავსცე რევაზ გაბაშვილს. მაგრამ მე მსურს მაინც ჩემი აზრი მოგახსენოთ. საქმე იმაშია, რომ თუ რევაზ გაბაშვილი ჭეშმარიტების მოყვარული ადამიანია, როდესაც იგი ლაპარაკობდა თბილისის მფრინავ რაზმის შესახებ, აღნიშნავდა ამ რაზმის ნაკლულოვანებას დი ამის გამო წინააღმდეგი იყო ამ კანონ-პროექტის მიღებისა,—იგი იძულებული იყო ეთქვა რამე ქუთაისის მფრინავ რაზმის შესახებ, იმ რაზმის შესახებ, რომელიც დღესაც საჩხერის მიდამოებში და ოსების ხეობაში იბრძვის საქართველოს რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ. საერთოდ კი, როდესაც რაიმე დაწესებულებაში წეს-რიგი არ არის ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაწესებულება საჭირო არ არის. შეიძლება დღეს რაზმში უწესოება არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაზმი საჭირო არ არის.

კანონ-პროექტის შესახებ მეტი კამათი არ არის საჭირო. მე როგორც მომხსენნებელი მოვითხოვ კანონ-პროექტის მიღებას. უნდა დამტკიცდეს რაზმის შევსება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. დავით ვაჩნაძემ ითხოვა სიტყვა, მაგრამ ვერ მივცემ, რადგან დაიგვიანა და სიტყვა უკვე მომხსენებელს მივეცი. ესე ჩემო ბატონო! მომხრე არის საბჭო, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე?

რ ე ვ ა ზ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ს (შეაქვს ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით გადასვლის ფორმულა) ეროვნული საბჭო წინააღმდეგია კანონ პროექტის მუხლობრივ განხილვისა და გადადის მორიგ საკითხებზე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი ამ ფორმულისა? მაშასადამე წინადადება უარყოფილია. ახლა გადავდივართ მუხლობრივ განხილვაზე, ვუყრი კენჭს. ვინ არის წინააღმდეგი რომ მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეთ? მომხსენებელს ვთხოვ წაიკითხოს 1 მუხლი.

ა ლ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. (კითხულობს 1 მუხლს).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ნებავს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? (სიტყვას თხოულობს ადგილიდან დ. ვაჩნაძე). სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ბატონს დავით ვაჩნაძეს.

დ. ვაჩნაძე. (ეროვ. დემ.) მაშასადამე როგორც კანონ-პროექტის პირველი მუხლი გვეუბნება მფრინავი რაზმი 2500 კაცისაგან უნდა შესდგებოდეს. ეს უდრის დაახლოვებით დღევანდელ 2 პოლკს.

ჩვენ სამხედრო კომისიაში არ გაგვიხილავს მფრინავ რაზმის გეგმა, და უნდა განვაცხადო, რომ ეს ძალიან სამწუხარო მოვლენაა, როდესაც აქ შემოაქვთ კანონ-პროექტი რაზმის გადიდების შესახებ და სამხედრო კომისიას არ ეკითხებიან. ამიტომ მე დღეს არ შემიძლიან წარმოვადგინო თქვენს წინაშე ავტორიტეტული აზრი საპარლამენტო სამხედრო კომისიისა ამ რაზმის შესახებ.

მე მხოლოდ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ. ყველანი დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ, რომ ჩვენი მდგომარეობა ისეთია, უსათუოდ უნდა მოეწყოს რეგულიარული ჯარი და თუ თქვენ ჩამოაკლებთ ამ ჯარს ფინანსებს, თუ თქვენ ჩამოაკლებთ ენერგიას, რომელიც იხარჯება ანარქიასთან ბრძოლაში, თუ თქვენ მოუსპობთ სამოქმედო ასპარეზს, მაშინ ჯარს ხომ ვეღარ შეჰქმნით. მაშინ როგორღა გნებავთ ჯარის შექმნა?

საზღვრების დაცვა არის კომპეტენცია ლაშქრისა. ეხლა 2.500 კაცი წაიღებს 12 მილიონ მანეთამდე. თქვენ გყავთ სახალხო გვარდია, მილიცია. ეს საგანგებო რაზმი, რაღაა არ მესმის, რი საჭიროა ეს საგანგებო რაზმი, რომელსაც მიაქვს 12 მილიონი მან. (ხმები: არ არის მართალი). დიახ! ბატონებო 6—7 მილიონი თვით რაზმს დასჭირდება ეს ულუფოდ ხოლო, თუ ულუფაც ვიანგარიშეთ, მაშინ 12 მილიონი უეჭველა მოუნდება. უნდა იცოდეთ, რომ ყველაფერი ეს აკლდება იმ ჯარს, რომელიც უნდა მოეწყოს და რომლის მოწყობის მომხრეა თვით მთავრობა. თუ ჩვენ ძალებს ამ საგანგებო რაზმებს შევალევთ მაშინ როგორღა შესძლებთ ჯარის მოწყობას. ბატონმა ლომთათიძემ უნდა იცოდეს, რომ შემდეგ ცარიელი ჯიბით ამ რეგულიარულ ჯარს ვერ გაუძლვებით. რაც შეეხება პირდაპირ ამ პუნქტს, რომელიც მოითხოვს არსებულ მფრინავ რაზმის 2.500 კაცამდე გადიდებას, იგი ჩემის აზრით სრულიად უსარგებლოა და არ არის საჭირო. უკვე არსებულ საგანგებო რაზმში შედის ყველა ჩვენი სამხედრო ძალები: იქ არიან ცხენოსნები, არტილერია და ქვეითა ჯარი. მაშ ეს სხვა საგანგებო რაზმი რაღაა? თუ შინაგან საქმეთა მინისტრი იცავდა საგანგებო რაზმს ეს კიდევ მარგებია, ამას კიდევ შეურიგდება კაცი, მას რაიმე პოლიტიკური მიზანი მაინც აქვს, მაგრამ ეს მფრინავი რაზმი რაღა შუაშია. განა ეს ეფრინავი რაზმი მართლა გადაფრინდება? ბატონებო, თქვენ უნდა გამონახოთ მიზანი, თუ რისთვის აარსებთ ამ რაზმს. მე მეშინიან რომ, თუმცა თქვენ ხშირად სხვას უკიჟინებთ, რომ ძირს უთხრიან ჩვენ სახელმწიფოს, და თქვენ თვითონ კი ძირს უთხრით სამხედრო ძალას.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. აქ პირველ მუხლის შესახებ იყო ლაპარაკი. მუხლში ნათქვამია, რომ ეს რაზმი თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში ცალ-ცალკე გადიდებულ იქმნეს 600—1.000 კაცამდე, ხოლო სოხუმის ოლქში 300—400-მდე. მე გთხოვთ ბატონო წერილობითი წინადადება შემოიტანოთ.

დ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე. მე მოვითხოვ, რომ თუ შესაძლებელია მთელი კანონ-პროექტი გადაეცეს სამხედრო კომისიას თუ ეს არ შეიძლება—გადაიდოს ამ რაზმის შევსება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს.

# პრესის მიმოხილვა.

„ტრუდოვოე ზნამია“ ეხება ბაქოს ბრძოლაში ინგლისელების მონაწილეობას:

„ამ უკანასკნელ გარემოებას შეუძლიან გამოიწვიოს გერმანელების ჩარევა ბაქოს ფრონტზე. ეს კი ბაქოს რაიონს და მთელ ჩვენს მხარეს ორ მებრძოლ მსოფლიო ძალთა სისხლიან ასპარეზად გადაქცევას უქადის. რუსეთის დემოკრატიის ინტერესები თითქოს ჩრდილში რჩება“.

შესაძლოა გამართლდეს „ტრუდოვოე ზნამიელების“ საბედისწერო წინასწარი ყივილი, შესაძლოა, რომ მართლაც ჩვენს ქვეყანას არ ასცდეს ორი მებრძოლი გოლიათის ასპარეზად გადაქცევა—რაც ჩვენ მტრებს სიხარულით ცას მისწევს. და აი ვეკითხებით „ტრუდოვე ზნამიელებსს“, რომელნიც ასე ნათესავურ კავშირს ჰგრძნობდნენ „წითელ ბაქოში“ გამაგრებულ ბალშევიკურ მთავრობასთან—რა უფრო საზიანო იქნებოდა „ჩვენ მხარისთვის“ (როგორც ამას სწერს ტრუდოვოე ზნამია) ანდა რუსეთის დემოკრატიისათვის: ბაქო ადრევე შემოსულიყო ამიერ-კავკასიის საზღვრებში თუ ამავ ბაქოს მიზეზით ჩვენი მხრის ორი ძლიერ სახელმწიფოთა სისხლიან ასპარეზად გადაქცევა?

რუსეთის მდგომარეობის შესახებ „ვოზროჟდენიე“-ში ბ. ოპოჩინინი სწერს:

„სასურსათო მდგომარეობა ისეთია, რომ ორ კაცს რის ვაიგლახით შეუძლია ერთი დღე 10 თუმნით გადაირჩინოს თავი. მომავალი ზამთარი სიძვირეს იქამდის მიიყვანს, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა უმრავლესობას აღარ შეეძლება.

დგება ის საშინელი საათი, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ს. ვიტტე ოქროს მრეწველი ყრილობაზე ჯერ ისევ ომის პირველ წელს. იგი ამბობდა, რომ თუ ომი ეხლავ არ იქმნა შეწყვეტილი, იგი რუსეთისთვის ისეთ სამეურნეო მარცხით დასრულდება, რომლის შედეგების გათვალისწინება ყოვლად შეუძლებელია. რუსეთის სამეურნეო დარღვევის პროცესი მობილიზაციიდანვე დაიწყო. თვით რევოლიუცია პეტროგრადში უპურობის პირდაპირი შედეგი იყო. რასაც კი ხელს შეახებ რუსეთში—ყველაფერი კრიზისს განიცდის. მდგომარეობა სრულიად უიმედოა, როგორც ხომალდის დაღუპვის უკანასკნელ მომენტში. თვით ხომალდის გადარჩენაზე ლაპარაკი შეუძლებელია. საკითხია მხოლოდ, თუ ვინ გადარჩება მომცრო ნავებზე. ეს მომცრო ნავები—ის ახალი სახელმწიფოებია, რომელიც წარმოიშვა რუსეთის ტერიტორიაზე. შესაძლოა ამა თუ იმ ოლქმა, ამა თუ იმ ქალაქმა კიდევ შესძლოს სიმშილისა და ანარქიისგან გადარჩენა და ვით პატარა ნავმა, თავი შეაფაროს მყუდრო ნავთსაყუდარს“.

ყველაზე მეტად გულდაწყვეტილი, ყველაზე გვიან ამ ხომალდიდან ჩვენ, ქართველები გადმოვსხდით საქართველოს ნავში, მაგრამ ყველაზე მეტ წყევლა-კრულვას ჩვენ გვიგზავნიან ჩვენივე ნავში მოყოლილი ხომალდზე მსხდომნი ჩვენთვის უცხო მოქალაქენი. არაა კარგი, როდესაც ნავში მჯდომი მენავეს ეჩხუბება, მაგრამ ნათქვამია ვაი სიკვდილის მქონელსაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ. ჯაფარიძის დეპეშა.

„კავკ. სლოვოში“ დაბეჭდილია შემდეგი: „ორიზონი“ ბეჭდავს დეპეშას, რომელიც საქართ. ეროვნ. საბჭოს თავმჯდომარის სახელზეა გამოგზავნილი ბაქოს დეპუტატთა საბჭოს თავჯდომარის ჯაფარიძისაგან: „თქვენი ცნობები“ ბაქოში მყოფ ქართველების „შევიწროვებულ მდგომარეობაზე ისევე მართალია, როგორც ყველა ცნობები საერთოდ ბაქოსა და კერძოთ რუსეთის საბჭოთა ფედერატიული რესპიუბლიკის შესახებ, ეს ის ცნობებია, რომლითაც ყოველ დღე შეცდომაში შეგყავთ ქართველი დემოკრატია. იცოდეთ, რომ ბაქოსა და მთლად რუსეთის საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქართველები სარგებლობენ მოქალაქის მთლიანი უფლებებით და არა ისე შეკვეცილათ, როგორც ეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხდება, რომელიც გერმანია-ოსმალეთის იმპერიალისტურ ძალას ჩაუგდეთ ხელში. ჩვენ მოგაგონებთ მართლაც და იმ ქართველების შევიწროებულ მდგომარეობაზე, რომელნიც ციხეებში იხრჩვებიან იმიტომ, რომ ისინი არ ეთანხმებიან თქვენს დამღუპველს პოლიტიკას. მე და დანარჩენი ქართველები, რომელნიც არა ვღალატობთ მუშათა კლასის საქმეს, ზიზღით ზურგს ვიბრუნებთ თქვენს უზურპატორულ მზრუნველობისაგან.

ბაქოს დეპუტატთა საბჭოთა
თავმჯდომ. ჯაფარიძე.
მდივანი ა. ტერ-კარაპეტიანი.

ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ბაქოს დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარის ბ. ჯაფარიძის შესახებ დიდი წარმოდგენისა. მისი პოლიტიკა ყოველთვის ვიწრო და შეზღუდული იყო და აი ამ შეზღუდვის და სივიწროვის დაღი ასვია მის დეპეშასაც საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარისადმი, ის მთელ თავის გულღვარძლიანობას და უმწეო ბოროტებას ანთხევს საქართველოს რესპუბლიკის სახელის გასატეხად. მაგრამ ამით ტყუილად ფიქრობს, რომ სახელს და დიდებას შესძენს იმ საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას, რომლის მოქალაქეებით ის ასე მამლაყინწურათ ამაყობს.

ბ. ჯაფარიძემ არ იცის ან თუ იცის უმალავს თავის დაბრმავებულ აუდიტორიას, რომ ეგრეთ წოდებულ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა პირწავარდნილი ჯოჯოხეთია საქართველოს რესპუბლიკის წესწყობილებასთან შედარებით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იცავს რევოლიუციის მონაპოვარს და თავისუფლებას ბალშევიკთა ურდოებისაგან და ყაჩაღებისაგან. ეს მართალია. და ამ ჩვენს პატარა რესპუბლიკანურ წყობილებას არასოდეს არ უვლია უზარმაზარი რუსეთის ბალშევიკურ ანარქიაზე, ანუ „საბჭოთა რესპუბლიკაზე“, რომელიც დიდი ხანია გაყიდული, დაცემული, დავრდომილი, პატივ აყრილი და დამონებულია ჯაფარიძეთა უნიჭო დიქტატურის წყალობით.

რაც შეეხება იმას, რომ ქართველები ყველა უფლებებით სარგებლობენო საბჭოთა რესპუბლიკაში და სხ., უნდა მოვახსენოთ გადაგვარებულ ჯაფარიძეებს, რომ რუსეთში მათ საშინლათ ეპყრობიან და სულ ხშირათ გაუსამართლებლათ და განუკითხავათ ჰკლავდნენ სრულიათ უდანაშაულო ხალხს. მოიგონოს ბ. ჯაფარიძემ არმავირის ბოლშევიკური ბოროტმოქმედება და დადუმდეს, თუ კიდევ შერჩენია მოქალაქეობრივი კეთილ-სინდისიერება...

# საამდროო წერილები.

უმთავრესი გეგმა ინგლისისა, რომლის ასრულებას ინგლისის აზრით, გერმანიის დამარცხება უნდა გამოეწვია, მდგომარეობდა იმაში, რომ ინგლისს თავის უზარ-მაზარი ფლოტის საშუალებით შეებოჭა გერმანია, განეხორციელებინა გერმანიის „ბლოკადა“; ამიტომ ინგლისი მთელ თავის იმედს ამ „ბლოკადაზე“ ამყარებდა და დიდი ჯარის შექმნას პირველ ხანებში ის აღარ ცდილა. მაგრამ ინგლისი დარწმუნდა რა, რომ გერმანიის „ბლოკადის“ განხორციელება სავსებით არ ხერხდება, ის შეუდგა ხმელეთის ჯარის შექმნას და სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოთა თავის მხარეზე გადაყვანას. მისი ახლად შექმნილი ჯარი ისეთი არ არის, რომ მარტო გაუმკლავდეს გერმანიას სხვების დაუხმარებლად, მაგრამ ის დიდის თავდადებით იბრძვის დასავლეთ ფრონტზე და სხვაგანაც.

რაც შეეხება „ბლოკადის“ საკითხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ის სიმწვავე, რომელიც წინედ ჰქონდა, დღეს აღარ აქვს.

გერმანიამ იმდენად გააფართოვა თავისი მოქმედების სფერო, როგორც რუსეთში, ისე ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, ოსმალეთსა და კავკასიაში, რომ მისთვის დასამუშავებელ მასალ[illegible] ალარ შეადგენს საჭირ[illegible]

რაც შეეხება პურს, აქ უნდა ითქვას ის რომ თუ კი გერმანია და მისი მოკავშირენი შესძლებენ დაიმუშაონ ის ადგილები, რომელნიც მათ უპყრიათ ამ ჟამად, მაშინ, რასაკვირველია, მოყვანილი პურის რაოდენობა მათ საჭიროებას ბევრათ აღემატება. ეს გარემოება გერმანიისთვის საძნელო რამეს არ წარმოადგენს, ამას მოწმობს ის განსაცვიფრებელი ენერგია, რომელიც გერმანიამ გამოიჩინა ამ ომის დროს.

მან ტეხნიკურ სფეროში სხვა და სხვა გამოგონებით თავის შემოქმედებითი უნარი უმაღლეს წერტილამდე აიყვანა. თავის გამოგონებანი სისწრაფით გადაიტანა ცხოვრებაში. სამი წლის განმავლობაში გერმანიამ, როგორც ამას რუსული სპეციალური სამხედრო ორგანოებიც კი აღნიშნავენ, გაიყვანა 8000 (რვა ათას) კილომეტრზე მეტი სიგრძის რკინის გზა!

მაშასადამე „ბლოკადა“, დასამუშავებელი მასალის უქონლობა, სიმშილი, ყველა ამათ დღეს აღარ აქვს წინანდელი მნიშვნელობა. ინგლისი და საფრანგეთი გერმანიის წყლის ქვეშ მავალ ნავების მხრით განიცდიან შევიწროებას. ჯერ კიდევ გამოურკვეველია საკითხი, რომელი „ბლოკადა“ უფრო ნამდვილია, ინგლისისაგან ნაწარმოები გერმანიის მიმართ თუ პირიქით გერმანიისა ინგლისის და საფრანგეთის მიმართ. ამას გარდა არსებობს ერთი გარემოება, რომელიც არ იპყრობს საზოგადოდ დიდ ყურადღებას, მაგრამ რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გერმანია თავის მოკავშირეებთან ტერიტორიალურად ისეა გადაბმული, რომ ისინი თითქოს ერთ მთელ ტერიტორიალურ ერთეულს თითქოს ერთ მთელ ორგანიზმს წარმოადგენენ, მაშინ როდესაც მოწინააღმდეგე კოალიციაში მყოფი სახელმწიფონი არიან მთელ დედა-მიწის ზურგზე, ისინი ერთი-მეორეზე დაშორებული არიან. ეს გარემოება მოკავშირეებისთვის არ არის ხელსაყრელი. გერმანიას ამ გეოგრაფიულმა მდებარეობამ უპირატესობა მისცა. ეს გაერთიანება მარტო სტრატეგიული არ იყო. ამნაირად, ერთის მხრით ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანია სდგას რა ამ გაერთიანების პრინციპზე, ემზადება ბრძოლის გასაგრძელებლად. მისი მოწინააღმდეგენიც ემზადებიან და სულაც არ ფიქრობენ იარაღის დაყრას. აღსანიშნავია ის მხოლოდ; რომ რუსეთი სულ სტოვებს ფრონტს და ანებებს ბრძოლას თავს.

ომის გამარჯვებით ფასათავებლად, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის წინასწარი სახელმწიფო მომზადებული. გერმანიაზე ამბობენ ხოლმე ჯერჯერობით იმიტომ იმარჯვებს, რომ ამ ორმოცი წლის განმავლობაში სულ ომის სამზადისზე ფიქრობდაო. ასევე ემზადებოდნენ სხვა სახელმწიფონიც. რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი თუ კიდევ სხვა სახელმწიფონი, ხარჯავდნენ მილიარდებს იმ მიზნით, რომ მით შეექმნათ ძლიერ, საომრად მომზადებული ჯარი.

მაგრამ საქმე მარტო ამაში არ არის. ეს მსოფლიო ომი, როგორც მოვიხსენიეთ, სწარმოებს უკვე ოთხი წელიწადი. სამზადისი, შეიძლება, არავისთვის არ იყო ნავარაუდევი ასე დიდი ხნისათვის. გერმანიამ თვით ამ ომის პროცესის დროს გამოიჩინა ერთობ დიდი შემოქმედებითი ნიჭი, როგორც თეორეთიულ კვლევა-ძიების ისე პრაქტიკულ მოქმედების ყოველ-გვარ დარგში.

ხვალინდელი დღე რას იტყვის არ ვიცით. ხოლო დღეს კი შეიძლება ითქვას, რომ გერმანია ყველაზე უფრო გამარჯვებულია.

და ეს დღეს ძლევა-მოსილი გერმანია ეხლა ჩვენი მოკავშირეა, მხოლოდ ეს გარემოება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თითონ ამ ჟამადვე არ შეუდგეთ ჩვენ ბედ-იღბალზე ზრუნვას, რათა შევქმნათ სახელმწიფო, რომელიც ყოველ დღე, ყოველ წუთს გაუმკლავდეს მტერს. ამისთვის კი, უპირველს ყოვლისა, საჭიროა ჯარის შექმნა. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, როგორც ვიცით, უკვე აირჩია სწორი გზა; ამ ჟამად მთავრობა იმუშავებს კანონ-პროექტს, რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად საქართველოს მომავალ ჯარის ორგანიზაციას.

დღეს ჩვენთვის, ქართველებისათვის, უპირველესი პრინციპთა-პრინციპი — საქართველოს დამოუკიდებლობა არის, ამიტომ ამის და მიხედვით უნდა შევქნათ იმგვარი პირობები, იმგვარი ფაქტორები, რომელნიც უზრუნველყოფენ ამ დამოუკიდებლობას, რესპუბლიკას, ჩვენი ხალხის სუვერენობას. ამისათვის, როგორც ვსთქვით, საჭიროა ჯარი, გაწრთვნილი, დისციპლინით შედუღებული. თუ სახელდობრ როგორი ტიპის ჯარი სჯობია ჩვენთვის, ამაზე არ უნდა დაგვჭირდეს დიდი კამათი. ჯარის უპირველეს მოვალეობას შეადგენს ქვეყნის საზღვრების და თავისუფლების, სამშობლოს მთლიანობის დამოუკიდებლობის დაცვა. მაშასადამე ჯარმა ბრძოლის ველზე მტრის დამარცხება უნდა იცოდეს. **დ.**

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

9 აგვისტო.

**სტამბოლი,** 8 აგვისტო. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. სუსტი საარტილერიო ცეცხლია და რამოდენიმე ჩვენ სასარგებლოდ დამთავრებული შეტაკებები. დანარჩენ ფრონტებზე მნიშვნელოვანი არაფერია.

**პარიზი,** 8 აგვისტო. სამხედრო ცნობა. უკანასკნელ დღეს სიმშვიდე იყო. ამიენის სამხრეთ აღმოსავლეთით ბრძოლა ინგლისელთა და ფრანგთა შეერთებულ ჯარების სასარგებლოდ დამთავრდა.

**ბუქარესტი,** 7 აგვისტო. ხოლერის შემოტანის შიშით დაიკეტა უკრაინის საზღვარი. ყველა, რუსეთიდან უკრაინაში მომავალს 5 დღის განმავლობაში კარანტინში ატარებენ.

**ბერლინი,** 8 აგვისტო. რუსების და რუსეთის პოლიტიკური პარტიების სურვილი ცხად ჰყო კადეტთა პარტიის ბელადის ინტერვიუმ, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ფოსიშეცეიტუნგში“. რუს პოლიტიკმა ახსნა რომ კადეტთა პარტია, რომელსაც ეკუთვნის როგორც მთელი რუსეთის ინტელიგენცია, აგრეთვე წვრილი ეროვნებები და მთელი საშუალო წოდება, ომის გამოცხადების დროს იმედი ჰქონდათ, რომ ეს ომი გახსნის დარდანელს და გამარჯვებას მოუტანს დემოკრატიულ აზროვნებას. კადეტთა პარტიის ბელადი შემდეგ ამბობს: „შეიქნა სულ სხვა. ბევრი ჩვენთაგანი შემდეგ დარწმუნდა, რომ დარდანელის გახსნა გამოყიდვით გაცილებით ნაკლები დაგვიჯდებოდა, ვიდრე ომით, რომელიც ჩვენ გვიღირს მილიონ დახოცილებით, დასახიჩრებულებით და აუარებელ ფულად.

სისხლიდან დამწყდარმა საფრანგეთმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ საეჭვო ელემენტები, და ინგლისმა—ადამიანის თავისუფლების და საუკეთესო დემოკრატიის სავანე—უარჰყვეს ლიბერალიზმი. ჩვენ არ ვართ კარგ განწყობილებაში გერმანიასთან, მაგრამ ჩვენ სამთა შეთანხმების სახელმწიფოები, რადგანაც ჩვენ დავრწმუნდით, რომ დემოკრატიის გამარჯვება რუსეთში განხორციელდება არა ბერლინის და ვენის დახმარებით და მით უმეტეს არა პარიზის, ლონდონის და ვაშინგტონის, ამიტომაც ჩვენ ვამჯობინებთ მშვიდ მდგომარეობას. ჩვენ გვეჭირვება სიმშვიდე საამშენებლო მუშაობისთვის, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოკავშირეები არ იცნობენ რუსეთს, არ იციან რომ მას სიმშვიდე და მოსვენება ეჭირვება, და თუ იციან, რასაკვირველია მაგათ ინტერესს არ შეადგენს დახმარება აღმოუჩინონ რუსეთს ამ შემთხვევაში. ბოლოს ბელადი ამბობს: რუსეთი რომ ომმა მოქანცა არ შეიძლება არ იცოდნენ როგორც ბერლინში და ვენაში, აგრეთვე ლონდონში და პარიზში. სამხედრო ავანტიურისთვის არც ტროცკის, არც მაკლაკოვს, არც ბალაშევს არ შეუძლიან შექმნან აუცილებელი ლაშქარი, ამიტომ ჩვენთვის საჭიროა ნეიტრალიტეტი, და ვინც განიზრახავს ამ მდგომარეობიდან ჩვენს გამოყვანას, უსათუოდ დამარცხდება. მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთი ეკონომიურად ძლიერ დასუსტებულია და პოლიტიკურად დაქსაქსული, ის მაინც ნახავს იმდენს ძალას, რომ ასეთ განზრახვას წინააღმდეგობა გაუწიოს

**ბერლინი,** 8 აგვისტო. გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენელი მოსკოვში, გელფერიხი, 8 აგვისტოს ჩამოვიდა ბერლინში. მოსკოვში შეიპყრეს ინგლისელი და ფრანგი მოქალაქეები და აგრეთვე ფრანგი და სერბიელი ოფიცრები, რომელთა საეჭვო მოქმედება დაკავშირებულია მურმანთან მომხდარ ამბების გამო.

**მოსკოვის რადიო სადგური.** 8 აგვისტო. იტყობინებიან, რომ საბჭოთა ორგანოების მუშაობა იმ ოლქებში, რომლებიც ექვემდებარებიან საბჭოთა მთავრობას, ჩვეულებრივად მტკიცედ მიმდინარეობს. სადაც საბჭოთა მთავრობა არ არის, იქ თან და თან იზრდება რეაქცია და კონტრ-რევოლიუციონური პროპაგანდა. მაგალითად, ციმბირის დასავლეთი ნაწილი. აქაური ძალები შესდგებიან ჩეხოსლოვაკებისგან, რომლებთანაც კავშირი აქვთ საფრანგეთის და ინგლისის აგენტებს და რუს ოფიცრების დიდ რიცხვს, გენერლებს და პოლკოვნიკებს, ნიკოლოზის ეპოქისა და რუსეთის როვოლიუციის მოღალატეებს. ჩინეთის სამხრეთის ნაწილში რევოლიუციის აფეთქება გახშირდა, დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთთან საბჭოთა მთავრობისა განმტკიცდა. ჩინეთი შეგვპირდა მოგვცეს ჩვენ კონტრრევოლიუციონერები, როლებმაც მათთან შეაფარეს თავი. სპარსეთი მხარს უჭერს საბჭოთა თურქესტანს, რასაც ამტკიცებს მათ შორის გაჩაღებული ვაჭრობა. გარდა ამისა სპარსეთში შესდგა ძლიერი პარტია, რომელიც ძლიერი სიმპატიით ეპყრობა საბჭოთა თურქესტანს.

# უცხოეთი.

### რუმინელი ებრაელები.

რუმინელ ებრაელებს ვილსონისთვის პეტიცია გაუგზავნიათ, რომელშიაც სთხოვენ, როგორმე გავლენა იქონიოს იმ მიღებულ ზომების წინააღმდეგ, რომელსაც მიზნათ აქვს ებრაელების მცირე ოდენი უფლებებიც კი შეჰკვეცონ რუმინიაში, რომელითაც ებრაელები, ამდენ ხანს სარგებლობდენ.

### ესპანია და ჰეტმანი.

კიევში მყოფმა ესპანიის კონსულმა ვასილიალმა თავის მთავრობას შეატყობინა უკრაინაში მომხდარი სახელმწიფო ცვლილებები, რის პასუხად ესპანიიდან ოფიციალური ცნობა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჰეტმანის უფლებებს არ სცნობენ და არც არავითარ ოფიციალურ დამოკიდებულებას იქონიებენ.

### ბელგიის მეფე.

როტერდამიდან ბერლინში იუწყებიან: ლორდ კერზონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ბელგიის მეფე და დედოფალი ჰაეროპლანით უვნებლათ ინგლისში მოფრინდნენ. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ მეფე დედოფლის გადაფრენის სამზადისი სრული საიდუმლოებით ხდებოდა.

### ზავის შესაძლებლობა.

საზღვარ გარეთელი გაზეთების ცნობით შვეიცარიაში მოსულა ავსტრიის ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ნიადაგს სინჯავს ზავის ჩამოგდების შესახებ.

### დარდანელის გახსნა.

პეტროგრადში ცნობა მიუღიათ, საიდანაც სჩანს, რომ ხმელეთაშუა ზღვაში მოკავშირეთა დიდი ესკადრაა თავმოყრილი, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო გემებიდან შესდგება. ავტორიტეტული სამხედრო პირები ირწმუნებიან, რომ ეს დარდანელის ბლოკადის მომასწავებელია.

### კერენსკი.

კერენსკი პარიზში ყოფნის დროს კლემანსოსა და მრავალ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს უნახავს და თათბირი ჰქონიათ. ამ დღეებში ამერიკაში მიემგზავრებაო.

### ნაქურდალის აღმოჩენა.

მანთაშევის ქარვასლის ერთ ერთ საწყობში აღმოაჩინეს საერობო კავშირიდან მონაპარი დიდძალი საპნები, საცვლები, ტასტები და სხვა. ღირებულება 100 ათას მანეთს აღემატება. იქვე აღმოჩნდა 600 ფუთი სპილენძი და სხვა და სხვა გადამალული საქონელი. აღმოჩნდა აგრეთვე რამოდენიმე ასი ფუთი თამბაქო და პაპიროზი. პაპიროზს სააქციზო გადასახადი არ ჰქონდა გადახდილი. ჩხრეკა გრძელდება.

გარდა ამისა გაჩხრიკეს ცეილანოვის სარდაფი: აღმოაჩადა დიდ ძალი საპონი, საწერი ქაღალდი, ბაწარი, ყავა, კაკაო, ლიმონის სიმჟავე და სხვა.

ჩხრეკა მოახდინა განსაკუთრებულმა რაზმმა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით.

# ახალი ამბები.

○ თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ნება დართულია ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპონდენცია მიღებულ იქმნას როგორც ქართულს ისე რუსულს ენაზე გამგზავნელთა სურვილის მიხედვით.

○ შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ თანახმად დადგენილებისა ყველა მოსამსახურეებმა, რომელნიც მსახურობდნენ მთავრობისა და საქალაქო დაწესებულებებში და თავი დაანებეს შტატების შემცირების გამო და სალიკვიდაციო დახმარება მიიღეს იმ პირობით, რომ საქართველოს ტერიტორია უნდა დაეტოვებინათ მოვალენი არიან 7 დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა დასტოვონ რესპუბლიკის ტერიტორია. ამასთან ერთად დასახელებულ პირთ ვაფრთხილებ, რომ თუ ამ მოთხოვნილებას თავის დროზე არ შეასრულებენ იგინი ძალით იქნებიან გაძევებულნი რესპუბლიკის ტერიტორიიდან. ამასთან ერთად დამატებით ვაცხადებ, რომ თერგის სახალხო საბჭოსთან შეთანხმებით საქართველოს სამხედრო გზა კავკავამდის ამ კატეგორიის პირთათვის ხსნილია.

○ ამ დღეებში ხოჯევანქის სასაფლაოზე აღმოაჩინეს 1 ტომარა ვერცხლის ფული. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა 12 მძარცველი, რომელთაც დაემალათ ეს ფული. გამოირკვა, რომ ამ ფულის ნაწილი ეკუთვნოდა პოლკ. შახბუდაგოვს, რომლის ბინიდანაც ამას წინად ფული მოიტაცეს.

○ გაზეთი „ნაროდნაია სვობოდა“ სისტემატიური გამოსვლისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და აგრეთვე სხვა და სხვა ეროვნებათა ერთი-მეორეზე წაქეზებისთვის მთავრობის დადგენილებით დაიხურა.

სტამბა მისი დაიბექდა. ქალალდსა და ასოებს კი რეკვიზიცია მოეხდინოს რის დაუყონებლივ ხისრულეში მოყვანა დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

○ ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარის თხოვნა კლუბების 11 საათზე დაკეტვის შესახებ მთვრობამ დააკმაყოფილა იმ პირობით, რომ 11 საათის შემდეგ ისარგებლონ სანთლებით და არა ნავთით.

○ ეროვნულ საბჭოს შულავრიდან კომისარ ს. გალეჩიანისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „მდგომარეობა საშიშოა, შულავერი გარშემორტყმულია სამხედრო ნაწილებით. მცხოვრებნი ძალიან აღელვებული არიან. მათ მოსთხოვეს 4 ათასი ფუთი ხორბალი, რის მიცემაც მცხოვრებთ არ შეუძლიათ ... მოლოდნელია არა სასურველი ექსცესები. მოსალოდნელ უსიამოვნობის თვიდან ასაცილებლად გთხოვთ სასწრაფო დეპეშით შეაჩეროთ (?). ქალაქის ახლო მახლო ტყვიის მფრქვევლებია დაწყობილი. თბილისს მოემგზავრება მცხოვრებთა დელეგაცია.

○ ქალაქის გამგეობის ლტოლვილთა განყოფილებამ დახურა ყველა ლტოლვილთა თავშესაფარები გარდა ორისა, რომლებშიაც ავადმყოფი ლტოლვილნი იმყოფებიან.

○ თბილისში და პროვინციაში სახალხო გვარდიელთა რაზმების შედგენის შესამუშავებლად შესდგა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან გენ. კონიევი, სოლორაშვილი ჯულელი, მაისურაძე და დგებუაძე.

○ საქართველოს ლაშქრის შტაბმა სასურველად სცნო ფედერალისტთა რაზმი სახალხო გვარდიას შეუერთდეს.

○ ფოთიდან იტყობინებიან, რომ გერმანელებმა სახელოსნო სასწავლებლის ახლოს მოაწყვეს რადიოსადგური. ამის შემდეგ გემები „გენერალი" და „ კარკოვადო", რომლებიც საჭირო იყო რადიო სადგურისთვის, საჭირო აღარ არიან. ეს გემები გერმანელ გემებთან ერთად „ტიგრისი", „არარატი" და „მინოგორნი" (შავიქვის გამტანი) მალე შავ ზღვაზე გააკეთებენ რეისებს. გემთა რიცხვი მალე გადიდდება.

○ სამეურნეო საზოგადოებების, დაწესებულებების და პირთა აზრით, ამიერ კავკასიაში პურის მოსავალი წელს ყველგან გვარიანია, ზოგ ადგილას კარგია და ზოგ ადგილას, როგორც ყარსის ოლქი, ქუთაისის და განჯის გუბერნია და ბორჩალოს მაზრა, თბილისის გუბ. საუცხოვოა. მოსავლის შეგროვება ძლიერ გაძნელდა მუშა საქონლის სიცოტავის და მუშა ხელის სიძვირის გამო.

○ ლტოლვილებს უარი უთქვამთ მესამასე ვერსზე წასვლაზე. 40 ათას ლტოლვილთგან მხოლოდ 4 ათასი კაცი წავიდა მესამასე ვერსზე, დანარჩენები ქალაქში დაიფანტნენ.

○ მთავრობამ უარჰყო რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა რუს ლტოლვილთა გადამყვან მეფურგუნეებისდასაკმაყოფილებლად 18675 მანეთით დახმარების შესახებ.

○ დუშეთის აჯანყების ჩასაქრობად გაღებულ ხარჯების დასაფარავად მთავრობამ გადასდო 200,000 მანეთი.

○ ლაშქრის შტაბმა დაადგინა სთხოვს მთავრობას საქართველოს სამხედრო გზის დაცვის და ლტოლვილთა და სხ. საკითხების დაჩქარებით გადაწყვეტა.

○ საექიმო პერსონალის სოც. დემ. წრის დროებითი ბიურო შეეკითხა საოლქო კომიტეტს, თუ რამდენათ სასურველია, ასეთი წრის დაარსება და თავისი წესდებაც წარუდგინა გასაცნობათ.

○ 13 აგვ. კახეთის რკინის გზის სამართველოში შესდგება ექ. ახვლედიანის ინციატორობით კრება კახეთის რკინის გზის სანიტარულ აღმასრულებელ კომიტეტის დასაარსებლათ, ამ კრებაზე მიწვეულნი არიან გუბერნის ექ. ქიქოძე და საექიმო სასანიტრო საქმის უფროსი მ. ო. ზანდუკელი.

○ საექიმო სასანიტარო უფროსმა ექიმმა მ. ო. ზანდუკელმა შინაგან საქმეთა მინისტრს მოხსენება წარუდგინა, რომ რკინის გზის საექიმო-ნაწილი გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო საქმეს თუ რაიმე ტეხნიკური დაბრკოლება არ ელობება განყოფილებას.

○ გრინიოვის თხოვნა, რომელსაც 4 წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი კერენსკის შეურაცყოფობისათვის და დროებითი მთავრობის ჩამოსაგდებად მოწოდებისათვის, შეწყნარებულ იქნა იმ პირობით, რომ განთავისუფლებისთანავე დასტოვოს საქართველოს ტერიტორია.

○ შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა საკითხი გადაეცა სახელმწიფო კანტრალიორს, სამხედრო და შრომის მინისტრებს.

○ ეროვნულ საბჭოს ხელოვნების კომისიის მოხსენება საქართველოს ღერბის შესახებ მთავრობის დადგენილებით ფრაქციებს გადაეცემათ განსახილველათ.

○ ადერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენლის თხოვნა ზაქათალის ოლქის საბეგრო და სახაზინო დავთრების მისთვის გადაცემის შესახებ უარყოფილ იქმნა.

○ ტყვიბულის ქვა-ნახშირი. მთავრობის დადგენილებით ტყვიბულის ქვა-ნახში გზათა სამინისტროს გადაეცემა.

○ ხვალ განჯა'ში მიემგზავრება მესოპოტამიის ოსმალთა ლაშქრის მთავარ სარდალი ხალილ-ფაშა, რომელიც იქიდან ერევანში წავა, რათა სომხეთის მთავრობა ინახულოს.

○ შუშიდან იტყობინებიან, რომ იქ დამოკიდებულება მაჰმადიანთა და სომეხთა შორის ნორმალურია.

○ სოხუმის ოლქისათვის საჭირო სამანუფაქტურო საქონლის შესახებ მთავრობამ დაადგინა დაევალოს სასურსათო სამინისტროს გადასცეს სოხუმის ოლქს რამდენიმე სამანუფაქტურო საქონელი.

○ სამინისტროსთან არსებულ საექიმო სასანიტარო განყოფილებისათვის გადაიდო 200 ათასი მან. ათ მილ. ფონდიდან.

○ პროფ. კავშირის ბეჭვდითი საქმის საზოგადო კრება დანიშნულია დღეს 10- საათზე მუშათა კლუბის შენობაში (მიხ. ქუჩა № 65).

## ხელოვნება და სახელმწიფო.

(წერილი რედაქციის მიმართ.)

ეს ორი თითქო შეურიგებელი მეზობლები არიან, რადგან ხელოვნება თვით არის თავის თავადი, რთული და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ასე სწამს ყოველ ხელოვანს. ეს უდავოა.

მაგრამ ეს მხოლოდ შემოქმედების სფეროში.

რაც შეეხება ტეხნიკურ მხარეებს აქ კი შეიძლება აზრი გაიყოს.

ჩვენმა ეროვნულმა საბჭომ უნდა გადასწყვიტოს ამ საკითხის ერთი ფრიად საყურადღებო მხარე.

უმთავრესი ეროვნულ საბჭოს უკვე გადაწყვეტილი აქვს: პრინციპი. იგი უკვე ჩაერია ხელოვნების საქმეში: მან აირჩია კანონმდებელი კომისია ამ სფეროშიც. ეხლა ჯერი აღმასრულებელ ორგანოზე მიდგა.

თათბირია-როგორი აღმასრულებელი ორგანო უნდა ჰყავდეს ხელოვნებას საქართველოს მთავრობაში: რომელსამე სამინისტროსთან მიკუთვნილი და მაშასადამე დამორჩილებული ამ სამინისტროს საერთო პოლიტიკასთან თუ განკერძოებული, დამოუკიდებელი უწყება, რომელიც მორჩილი იქმნება მხოლოდ პარლამენტისა.

ჩვენ ვიცავთ განკერძოებულ უწყებას და აი რატომ.

ჩვენი ბაზაა: გარდა საერთო ხელოვნების დიადი მნიშვნელობისა ერისა თუ კაცობრიობის ცხოვრებაში ის გარემოებაც, რომ თვით საქართველო თუ კულტურულად აქამომდე დაიცვა რამემ ეს უწინარეს ყოვლისა ხელოვნებამ.

ჩვენი გამართლება კაცობრიობის წინაშე, როგორც არა ერთხელ მითქვამს, შოთა რუსთაველი; ჩვენი სიქადული-ჩვენი შესამჩნევი ხუროთ-მოძღვრება; ჯერ კიდევ გამუკვლეველი ჰარმონია ჩვენი მუსიკისა, ჩვენი სულის სიმტკიცის და ზნე-მაღლობის მეტყველია და ასე სხვა სფეროებშიაც.

ხელოვნების როლი აქ დიდზე დიდია. მთელი მეცხრამეტე საუკუნე მაინც რომ მხოლოდ მაგითი, ხელოვნებით ვსულდგმულობდით. მწერლობა, თეატრი! ეგ იყო ჩვენი ტრიბუნა, ჩვენი პოლიტიკური სარბიელი, ჩვენი კულტურაც შენების სახსარი.

დღესაც აშკარათ ვამჩნევთ, რომ შესაძლებლობა ჩვენში დიდია. ჩვენს ხელოვნებას არ უთქვამს თავისი უკახასკნელი სიტყვა. იგი ტყის სიხშირეში გზა დაბნეულ ყოჩასავით წრტიალებს და ეკალ ბუჩქში ეხვევა.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მას, შეგნებულმა დემოსმა უნდა იოუაროს, გაზარდოს და დაავაჟკაცოს ის.

ესეთ პატარა და ნორჩ სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, სწორედ მთავრობამ უნდა იკისროს უზეაესი მზრუნველობა და ხელმძღვანელობა, (ტეხნიკურ ორგანიზაციაში) ხელოვნებისა. იქ, საცა სახელმწიფო გამაგრებულია, საცა ერის ცხოვრება დოვლათიანია და მაღალ-კულტურული, ხელოვნებაც დავაჟკაცებულია და მას ფარეზობა აღარ ეჭირვება. მას ჰყავს თავისი აუდიტორია, თავისი მეცენატები უმთავრობათაც. ჩვენში არც ერთი ესენი არ არის. ჩვენ გვინდა ერთგული მეგობარი გავუჩინოთ მთავრობის სახით ჩვენს ხელოვნებას.

ესეთი მეგობარი უნდა გახდეს დამოუკიდებელი უწყება ხელოვნებისა ჩვენს მთავრობაში.

ამაზე გვეუბნებიან ზოგნი: რა ხელოვნება გაქვთ? სად არის?

— ქანდაკება?—ერთი თუ ორია ჩვენში მოქანდაკე.

— მხატვრობა?—არც მხატვრები არიან უხვად.

— ხუროთ-მოძღვრება?—არც კი ვიცით არსებობს ეხლანდელი ქართული ხუროთ-მოძღვრება თუ არა.

— მწერლობა?—მხატვრულ მწერლობას აბა რაში უნდა დაეხმაროს მთავრობა.

— მუსიკა?—რაღაც ორი მუსიკალური სასწავლებელი გვაქვს. ერთი მათგანი თუნდა კონსერვატორია იყოს.

— თეატრი?—ჰოო, თეატრი მართალია თხოულობს პატრონობას, მაგრამ ჯერ ხომ არც იქ გართულებულა იმდენათ საქმე, რომ მთავრობას გაუხდეს თავსამტვრევი. მაგას ისევ ჩვენი დრამატიული საზოგადოება მოუვლის და სხვ.—ღირს ამისთვის მთავრობის შეწუხება, ცალკე უწყების დაარსება?!

ვპასუხობთ: სწორეთ მაგისთვის გვინდა მთავრობის ავტორიტეტული ხელი-ყოველი ეს შთანასახი აალორძინოს, წელი გაუმაგროს და ფეხზე დააყენოს. უამისოთ დავრჩებით სინაბარა სხვა და სხვა ჩვენი უნიათო მხატვრულ საზოგადოებებისა.

საბედნიეროთ ჩვენდა, უმრავლესობა ემხრობა ჩვენს დებულებას, რომ ხელოვნებას უთუოდ ცალკე, დამოუკიდებელი უწყება უნდა განაგებდეს, მხოლოდ აქ გვეუბნებიან სულ სხვა რასმე:

— ფინანსები!

— პატარა სახელმწიფო ვართ, სრულიად მოუმაგრებელი, ჯერ ჯარი არა გვყავს, შინაური გამგებლობის აპარატიც ვერ მოგვიწყვია და თქვენ კი გნებავთ ეხლავე ხელოვნებასაც ცალკე უწყება მიუჩინოთ, რომელიც დიდ-ძალ ხარჯებს გამოიწვევსო. ჩვენ გვინდა ხარჯები რაც შეიძლება შევამოკლოთ, რამოდენიმე სამინისტროებს ერთად ვაერთებთ მომჭირნეობის გამო და ამიტომ ამ ჟამად შეუძლებელია თქვენი წინადადებაო.

ჩვენც მაგას ვამბობთ: ეგ ყოველივე სინამდვილეა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ხელოვნებას დიდი წყაროების გაჩენა შეუძლიან. სახელმწიფოს იგი ამ მხრივაც მოუტანს სარგებლობას, დღესაც მოაქვს ცოტაოდენი და ამისთვის ყოველივე ამის გამგებლობა გადაეცით ცალკე უწყებას. თვით ამ უწყების შენახვა, ვუმტკიცებთ ციფრებით ხელში, ზედ-მეტ ბარგათ ხაზინას არ დააწვება, დაარსებისთანვე ხაზინაში შემოვა იმდენი, რომ უწყება შეინახოს.

გვეუბნებიან: ხელოვნებას მილიონობით ხარჯი მოსდევსო: თეატრები, მუზეუმები, კონსერვატორია და სხვ.

ვეუბნებით: ყველა ამეებზე დღესაც იხარჯება ხაზინიდან, განსხვავება ამ მხრივ არაფერია. განსხვავება იქნება მაშინ უკეთუ ხელოვნების საქმეები გადაეცემა რომელიმე სამინისტროს, რადგან იგი იმავე ფულს დახარჯავს, იმავ შემოსავლის წყაროების გამოძებნას შეუდგება და საქმეს კი სათანადოთ ვერ მოუვლის, რადგან თვით არის დატვირთული თავის პირდაპირ საქმეებით. ის ძალაუნებურათ სხვათა შორის მოეკიდება საქმეს.

ამის უარს არც მოწინააღმდეგენი არიან.

მაშ რაღა?

ჩვენ გვინდა სისტემატიზაცია ორგანიზაციულ მუშაობაში და ამისთვის ვთხოულობთ ცალკე უწყებას; ჩვენ გვინდა მუდმივ მოდარაჯე ხელოვნების საქმეთა ტეხნიკურ მხარისა საქართველოში და ამისთვის ვემხრობით ცალკე უწყებას; ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს უწყება კერძო ხარჯებს არ გამოიწვევს, შემოქმედების საქმეში არ ჩაერევა და ვერც უნდა ჩაერიოს. საქმეს კი უკეთ მოუვლის, შემოსავალს კი გააჩენს.

რასაკვირველია საბუთები კიდევ არის, მაგრამ წერილი ისედაც გაგრძელდა და საკითხის გადაწყვეტა მივანდოთ ისევ ჩვენს უზენაეს ორგანოს—ეროვნულ საბჭოს.

შალვა დადიანი.

## განცხადებები

თბილისის სამოქალაქო მილიციის უფროსი ამით აცხადებს, თბილისში მცხოვრებმა დავით გერასიმის ძე სანებლიძემ განაცხადა, რომ მას დაეკარგა სასურსათო მართველობის მიერ მოცემული აღმასრულებელი ფურცლის ნებართვა 755 მანეთისა 256 ნომრით. (3—2)

ვექილობას მიცემულს ჩემდამი ფილიპე გრიგოლის ძე კობახიძეზე და გაკეთებულს თბილისის ნოტარიუს წინამძღვარიშვილთან 31 მაისის 1918 წ. რეესტრით № 70080, ფულის მიღებაზე ადგილობრივ საინტენდანტოდან ასიგნოვკით 10 მაისს 1918 წ. № 37526, ამით ვაუქმებ.
ფოთის პირველი დრუჟინის უფროსი პრაპორშჩიკი სინაროსი. (3—2)

სრული ვექილობა, მიცემული ჩემდამი ირაკლი ჩილიკიძეზე ითვლება გაუქმებულად 10 აგვისტო 1918 წ.
ექიმი კურტიდი. (3—1)

კავკასიის ფრონტის მესამე უბნის საქმეთა ცალკე ხელმძღვანელის სამმართველო აცხადებს: მოწმობა № 602, 14 ივნისიდან 1918 წ. შედგენილი ზემოხსენებულ სამმართველოში, დამქირავებელ ალექსანდრე ლაზიდის სახელზედ, რომ ხაზინიდან მას ერგება 25.349 მან. მისგან შესრულებულ სექმეებისთვის, დაკარგულია. ამ მოწმობის მპოვნელს ვთხოვ წარმოადგინოს ის სამმართველოში გასაუქმებლად. „სევერნიე ნომერა" ოთახი № 62.

დავკარგე ქალ. არდაგანის ევაკუაციის დროს თბილისის განყოფილების სახელმწიფო ბანკის მიერ მოცემული შესანახი ხელწერილი 4.000 მან. ობლიგაციები № 49941: შუშანიკა გიორგის ასული ვართაპეტიანცისა.

ჩემი შვილი, თბილისის მეხუთე გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე ვასილ (ბასილა) ციცქიშვილი, 17 წლისა ნებაყოფლობით მსახურებდა ქართულ მეორე ცხენოსან პოლკში, რომლიდანაც იგი გამოვიდა მაისში და ცხოვრობდა სურამში. ივლისის პირველ რიცხვებში იგი ჩემ დაუკითხავად წასულა სურამიდან და მას შემდეგ იმისი აღარა ვიცირა. შეიძლება რომელიმე პოლკში ან რაზმშია ჩიწერილი. უმორჩილესად ვთხოვ ყოველ შეგნებულ პირს, ვინც რამე იცის ჩემს შვილზე, მაცნობოს მისი ამბავი წერილით ან დეპეშით შემდეგი მისამართი: თბილისი. კაბგეროვის ქუჩა. მღვდელს ქრისტეფორე ციცქიშვილს. სახლის № 47.

# საქართველოს
## სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქვემო აღნიშნული საქონელი, გაუტანელი რკინის გზათა წესდების 84 მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში, გაიყიდება თბილისის ცენტრალ საწყობში „28" დეკემბერს 1918 წ. დილის ათ საათზედ. გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდად „29" დეკემბერს ამა წლისა.

ბ ა გ ა ჟ ი. მიღებული თ ბ ი ლ ი ს შ ი ხაშურიდან: № 33731—1 ფ. 30 გ., მცხეთიდგან № 5119—2 ფ. 35 გ., ბათომიდგან № 79312—2 ფ. 30 გ., ბათომიდგან № 6050—1 ფ. 35 გ., ქუთაისიდგან № 19146—35 გ., ბათომიდგან № 4449—25 გ., მცხეთიდგან № 5120—1 ფ., ფოთიდგან № 187449/42232—39 გ., ევლახიდგან № 54316—35 გ., ნავთლუხიდგან № 22558—11 ფ. 10 გ., ნახიჩევანი გორ. № 216878—6 ფ. 30 გ., ბაქოდგან № 9139—3 ფ. 5 გ., ნავთლუხიდგან № 22490—2 ფ. 25 გ., ნავთლუხიდგან № 111709—1 ფ. 5 გ., ბაქოდგან № 9160—24 გ., ჯულფიდგან № 26714—1 ფ. 35 გ., ყვირილადგან № 208652/3409—1 ფ. 15 გ., არმავირიდგან № 5229—13 ფ. 10 გ., მოსკოვიდგან № 143254—39 ფ. 30 გ., ბალტიდგან № 325—1 ფ. 5 გ., ვორონეჟიდან № 1511—2 ფ. 35 გ., კიევიდან № 9325—3 ფ. 23 გ., კისლოვოდსკიდან № 47407—3 ფ. 12 გ., თემირხანშურიდან № 695—35 გ., პროხლადნაია № 4377—35 გ., პეტროვსკ პორ. № 2048/152—15 გ., ხარკოვიდგან № 9028—33 გ., გროზნიდან № 3799—3 გ., როსტოვიდგან № 42840—1 ფ., თუაფსედან № 12551—2 ფ. 35 გ., მინსკიდან № 1136—1 ფ. 8 გ., პეტროგრადიდგან № 8335—5 ფ. 28 გ., მოსკოვიდგან № 139287—4 ფ. 14 გ., მოსკოვიდგან № 142538—1 ფ. 26 გ., პეტროვსკ პორ. № 3363—1 ფ. 30 გ., მოგილევიდგან № 419—4 ფ. 35 გ., გროზნიდან № 3803—5 ფ. 19 გ., თუაფსედან № 12768—4 ფ. 22 გ., ელისავეტგრადიდან № 3336—1 ფ. 35 გ., ვუშჩევკადან № 1758—11 ფ. 8 გ., პეტროვსკ პორ. 10507/323—509—6 ფ. 20 გ., პეტროგრადიდან 8637—11 ფ. 35 გ., მოსკოვიდგან № 148759—4 ფ. 9 გ., პეტროგრადიდგან № 18052—1 ფ. 8 გ., პეტროგრადიდგან № 67331—3 ფ. 12 გ., ტაშკენტიდგან № 886—4 ფ., პსკოვიდგან № 4858—3 ფ. 6 გ., პეტროგრადიდან № 16041—2 ფ. 25 გ., რეველიდან № 5112—5 ფ. 20 გ., კიევიდგან № 8954—3 ფ., ფოთი ნავსადგურ. № 69949—კოპტონი (ქომხა) 36 გ.

მიღებული ფ ო თ შ ი—თბილისიდან: № 83699—მედიკამენტი და მოხარშული რძე (სგუშჩონი) 8 ფ. 35 გ., თბილისიდან № 52566—2 ფ. 12 გ., თბილისიდან № 5277[illegible] ბათომიდან № 11885—23 ფ. 2 გ., ყარსიდან № 6866—39 ფ.

თ ბ ი ლ ი ს ი. ნ ა პ ო ვ ნ ი ს ა ქ ო ნ ე ლ ი:
№ № 50, 51, 52, 53, 54 და 55, 38, 39, 40, 41, 42, 43, [illegible]

უ დ ო კ უ მ ე ნ ტ ო ს ა ქ ო ნ ე ლ ი: ჯ უ მ ა თ ი ბ ა გ ა ჟ ი—საცვლები [illegible]